CODE OF ETHICAL CONDUCT

The Editorial Board of the journal Science and Innovation recognizes the importance of high standards of academic ethics and is guided by the international principles of the Committee on Publication Ethics (COPE). This Code defines the rights, responsibilities, and ethical obligations of authors, peer reviewers, and the Editorial Board.

Ethical Obligations of Authors

- **Originality and Plagiarism:** All manuscripts submitted for publication are checked for plagiarism using specialized software (Turnitin). Submitted work must be entirely original. Any form of plagiarism (including data falsification, appropriation of another's text or ideas without proper citation, and self-plagiarism) is unacceptable and constitutes grounds for rejection.
- **Duplicate Submission:** Authors must commit to ensuring that the submitted manuscript has not been published previously and is not currently under consideration by any other scientific journal.
- **Authorship Criteria:** Authorship/co-authorship should be limited to individuals who have made a substantial contribution to the design, execution, data analysis, or drafting of the study.
- **Citation of Sources and Rules:** Authors are obligated to properly acknowledge and cite all utilized sources, literature, and datasets.
- **Conflict of Interest:** Authors must disclose any potential financial, personal, or academic conflicts of interest upon manuscript submission (where applicable).

Ethical Obligations of Peer Reviewers

- **Objectivity and Impartiality:** Reviewers are required to evaluate manuscripts objectively, on the basis of their scientific merit and without personal or political bias. The peer review form is available on the journal's website: https://www.saijournal.ge/ka/reviewer/).
- **Confidentiality:** Manuscripts submitted for review are confidential documents. Discussing, disseminating, or using ideas contained within submitted manuscripts for personal gain is strictly prohibited. The principle of confidentiality applies to unpublished works, as well as associated correspondence and review materials.
- **Timeliness:** If a reviewer feels unqualified or unable to complete the review within the stipulated deadline, they must immediately notify the editorial office.
- **Conflict of Interest:** Reviewers must decline to evaluate a manuscript if a conflict of interest exists regarding the authors, institutions, or sponsoring organizations.

Obligations of the Editorial Board and Editors

- **Independence in Decision-Making:** The Editor-in-Chief and the Editorial Board make final publication decisions based solely on scientific quality, originality, and alignment with the journal's scope.
- **Equity and Non-Discrimination:** The Editorial Board guarantees fair evaluation of authors regardless of race, gender, sexual orientation, religious belief, ethnic origin, citizenship, or political philosophy.
- **Anonymity:** The editorial office preserves confidentiality throughout the double-blind peer-review process.
- **Handling Misconduct:** The Editorial Board is committed to responding promptly to allegations of ethical violations, plagiarism, or research misconduct in accordance with COPE guidelines.

Open Access Policy and Copyright

- The journal *"Science and Innovation"* follows an Open Access policy.
- All published articles are distributed under the terms of the Creative Commons Attribution 4.0 International (CC BY 4.0) license, which permits unrestricted use, distribution, and reproduction in any medium, provided the original work is properly cited.

Management of Violations

- If software detects textual matches/similarity, the author will be notified of the finding and requested to provide an explanation and revisions.
- If an author refuses to provide an explanation, the manuscript will be removed from publication consideration. If the author's explanation demonstrates an honest error or researcher inexperience, the Editorial Board may grant a reasonable deadline (not exceeding 5 working days) to correct the error.
- Failure to comply with the editorial requests will result in the manuscript being rejected for publication. In cases of unsubstantiated refusal to provide explanations or revisions, the Editor and/or Editorial Board reserve the right to decline future manuscript submissions from the author(s).
- If a third party identifies plagiarism in a published article, they may contact the editorial team via email at metsnierebainovacia@gmail.com to request an investigation and an extract from the plagiarism detection software. Upon confirmation of plagiarism, the Editor and/or Editorial Board reserve the right to reject any future submissions from the involved author(s).

ეთიკის კოდექსი

ჟურნალის „მეცნიერება და ინოვაცია“ სარედაქციო კოლეგია აღიარებს მაღალი აკადემიური ეთიკის სტანდარტებს და ხელმძღვანელობს სამეცნიერო პუბლიკაციების ეთიკის კომიტეტის (COPE — Committee on Publication Ethics) საერთაშორისო პრინციპებით. წინამდებარე კოდექსი განსაზღვრავს ავტორების, რეცენზენტების და სარედაქციო საბჭოს უფლება-მოვალეობებსა და ეთიკურ ვალდებულებებს.

ავტორთა ეთიკური ვალდებულებები

- **ორიგინალურობა და პლაგიატი.** ჟურნალში გამოსაქვეყნებლად წარდგენილი ყველა ნაშრომი მოწმდება პლაგიატის სპეციალური პროგრამაში Turnitin. წარმოდგენილი ნაშრომი უნდა იყოს სრულიად ორიგინალური. პლაგიატის ნებისმიერი ფორმა (მონაცემთა გაყალბება, სხვისი ტექსტის/იდეების მითვისება წყაროს მითითების გარეშე, თვითპლაგიატი) მიუღებელია და გახდება სტატიის უარყოფის საფუძველი.
- **დუბლირებადი პუბლიკაცია.** ავტორი იღებს ვალდებულებას, რომ წარმოდგენილი სტატია არ არის გამოქვეყნებული და არც განსახილველად გადაცემული სხვა სამეცნიერო ჟურნალში.
- **ავტორობის კრიტერიუმები.** სტატიის ავტორად/თანაავტორად უნდა მიეთითოს მხოლოდ ის პირი, ვისაც არსებითი წვლილი მიუძღვის კვლევის დაგეგმვაში, განხორციელებაში, მონაცემთა ანალიზსა თუ ტექსტის მომზადებაში.
- **წყაროების ციტირება და ციტირების წესები.** ავტორები ვალდებულნი არიან დაამოწმონ ყველა გამოყენებული წყარო, ლიტერატურა და მონაცემთა ბაზა.
- **ინტერესთა კონფლიქტი.** ავტორმა პუბლიკაციის წარდგენისას უნდა განაცხადოს ნებისმიერი პოტენციური ფინანსური, პირადი თუ აკადემიური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

რეცენზენტთა (Peer Reviewers) ეთიკური ვალდებულებები

- **ობიექტურობა და მიუკერძოებლობა.** რეცენზენტი ვალდებულია ნაშრომი შეაფასოს ობიექტურად, სამეცნიერო ღირებულებაზე დაყრდნობით, ყოველგვარი პირადი თუ პოლიტიკური სუბიექტურობის გარეშე (რეცენზირების ფორმა განთავსებულია ჟურნალის ვებ. გვერდზე - https://www.saijournal.ge/ka/reviewer/).
- **კონფიდენციალურობა.** განსახილველად გადაცემული სტატია წარმოადგენს კონფიდენციალურ დოკუმენტს. დაუშვებელია მისი განხილვა, გავრცელება ან მასში არსებული იდეების გამოყენება პირადი ინტერესებისთვის. კონფიდენციალურობის პრინციპი ვრცელდება როგორც გამოუქვეყნებელ ნაშრომებზე, ისე მათთან დაკავშირებულ მიმოწერასა და სარეცენზიო მასალებზე.

- **დროულობა.** თუ რეცენზენტს არ შეუძლია სტატიის შეფასება დადგენილ ვადებში, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს რედაქციას.
- **ინტერესთა კონფლიქტი.** რეცენზენტმა უარი უნდა თქვას სტატიის შეფასებაზე, თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ავტორთან, ინსტიტუციასთან ან სპონსორ ორგანიზაციასთან.

სარედაქციო საბჭოსა და რედაქტორთა ვალდებულებები

- **გადაწყვეტილების მიღების დამოუკიდებლობა.** მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგია იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას სტატიის გამოქვეყნების შესახებ მხოლოდ მისი სამეცნიერო ხარისხის, ორიგინალურობისა და ჟურნალის თემატიკასთან შესაბამისობის საფუძველზე.
- **თანასწორობა.** რედაქცია უზრუნველყოფს ავტორთა თანასწორ შეფასებას, მათი რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიური მრწამსის, ეთნიკური კუთვნილების, მოქალაქეობისა თუ პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად.
- **ანონიმურობა:** რედაქცია იცავს ორმხრივად რეცენზირების პროცესის კონფიდენციალურობას.
- **რეაგირება დარღვევებზე.** სარედაქციო კოლეგია ვალდებულია დროულად მოახდინოს რეაგირება ეთიკის დარღვევის, პლაგიატისა თუ კვლევითი გადაცდომის შესახებ შემოსულ განცხადებებზე, COPE-ის რეკომენდაციების შესაბამისად.

ღია წვდომა და საავტორო უფლებები (Open Access Policy)

- ჟურნალი „მეცნიერება და ინოვაცია“ ახორციელებს ღია წვდომის პოლიტიკას (Open Access Journal).
- ყველა გამოქვეყნებული სტატია ვრცელდება Creative Commons Attribution 4.0 International (CC BY 4.0) ლიცენზიით, რაც მომხმარებელს აძლევს მასალის გამოყენების, გავრცელების და ციტირების უფლებას ავტორის ჯეროვანი მითითების პირობით.

დარღვევების მართვა

- პროგრამის მიერ დამთხვევის დადგენის შემთხვევაში, ავტორს ეცნობება პლაგიატის აღმოჩენის შესახებ და მოეთხოვება განმარტების და შესწორების წარმოდგენა.
- თუ ავტორი უარს ამბობს განმარტებაზე, ნაშრომი არ განიხილება გამოსაქვეყნებლად. თუ ავტორის განმარტება მიუთითებს გულწრფელ შეცდომაზე, ან დამთხვევის მიზეზი მკვლევარის გამოუცდელობაა, სარედაქციო კომიტეტი უფლებამოსილია ავტორს განუსაზღვროს გონივრული ვადა, არაუმეტეს 5 ხუთი სამუშაო დღისა, შეცდომის გამოსასწორებლად.

- რედაქციის მოთხოვნის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში ნაშრომი არ გამოქვეყნდება ჟურნალში. განმარტების ან/და ცვლილების მოთხოვნაზე დაუსაბუთებელი უარის თქმის შემთხვევაში, რედაქტორი ან/და სარედაქციო კომიტეტი იტოვებს ამ ავტორის/ავტორების მიერ მომავალში წარდგენილი ნაშრომების გამოქვეყნებაზე უარის თქმის უფლებას;
- გამოქვეყნებულ ნაშრომში მესამე პირის მიერ პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, აღმომჩენი უფლებამოსილია მიმართოს ჟურნალის რედაქციას ელ.ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: metsnierebainovacia@gmail.com და მოითხოვოს ფაქტის გამოკვლევა, აგრეთვე პლაგიატის პროგრამიდან ამონაწერი დამთხვევების შესახებ. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში რედაქტორი ან/და სარედაქციო კომიტეტი იტოვებს პლაგიატი ავტორის/ავტორების მიერ მომავალში წარდგენილი ნაშრომების გამოქვეყნებაზე უარის თქმის უფლებას.